საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედვა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №105/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ე. რ.-ისათვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 აგვისტოს თ. ხ.-მ საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ე. რ.-ისთვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი შვილი მ. ხ. და რძალი მ. კ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ჰყავთ სამი არასრულწლოვანი შვილი. მ. ხ.-ის უმუშევრობის გამო, ცოლ-ქმარს შორის წელიწადზე მეტია ურთიერთობა დაიძაბა და მ. ხ.-ის მიერ

ოჯახური ძალადობის განხორციელების ფაქტზე დიწყო გამოძიება, რის საფუძველზეც მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. ბრალდებულის ინტერესებს ამ სისხლის სამართლის საქმეზე იცავს ადვოკატი ს. ჯ., რომელიც ამავდროულად მ. ხ.-ის ნათლიაა. ოჯახური ძალადობის ფაქტზე დაზარალებულად ცნობილი მ. კ.-ის წარმომადგენელია არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი საფარის" წევრი ადვოკატი ე. რ., რომლის ქმედების ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შემოწმებასაც ითხოვს მომჩივანი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. კ. და მ. კ.-ის დედა ვენერა აბრამიძე, ადვოკატ ე. რ.-ის მეშვეობით ურთიერთშეთანხმებულად ცდილობენ დაეუფლონ მის საკუთრებაში არსებულ ქონებას. კერძოდ, ადვოკატმა ე. რ.-მ თ. ხ.-ს სატელეფონო საუბრის დროს თავად შესთავაზა გორში მდებარე მომჩივნის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი გადაეფორმებინა შვილიშვილებისათვის, ხოლო სანაცვლოდ, დაზარალებული მ. კ. სასამართლოს ბრალდებულ მ. ხ.-ის სასარგებლო ჩვენებას მისცემდა. რასაც მისი შვილის მ. ხ.-ის ადვოკატის მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ე. რ.-მ ამავე მოთხოვნით დაზარალებულის დედის ვენერა აბრამიძის სახელით არაერთხელ მიმართა მას. მომჩივნის მითითებით, ადვოკატი ე. რ. ცდილობს დაანგრიოს ოჯახი, ხელს უშლის და აბრკოლებს მეუღლეების შერიგებას. იგივე ფაქტების შესახებ მოაწოდა კოლეგიას ინფორმაცია საჩივრის ავტორმა 2018 წლის 18 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

2. მოწმეების ს. ჯ.-ისა და ირინე აბრამიძის ახსნა-განმარტება

2.1 2018 წლის 27 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა საჩივრის ავტორის შვილის, მ. ხ.-ის ადვოკატი ს. ჯ. და ს. ჯ.-ის მეუღლე ირინე აბრამიძე. ს. ჯ.-ის განმარტებით, ის ოჯახური ძალადობის საქმეზე იცავს მ. ხ.-ის ინტერესებს. ამ საქმეზე მას დაუკავშირდა დაზარალებულის, მ. კ.-ის ინტერსების დამცველი, ადვოკატი ე. რ.. ს. ჯ. განმარტავს, რომ ბრალდებული, მ. ხ. არის მისი ნათლული, ხოლო მ. კ. არის მისი მეუღლის ნათესავი, ამის გამო, ის ცდილობდა მხარეების მორიგებას, უნდოდა ოჯახის გადარჩენა, ამის შესახებ მან მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატ ე. რ.-ს. ადვოკატმა ე. რ.-მ მას განუმარტა, რომ მის კლიენტს არ უნდოდა შერიგება და ვინაიდან მ. ხ.-ს ქონება არ გააჩნდა, მას სურდა თ. ხ.-სთან საუბარი. ამის შემდეგ ადვოკატმა ე. რ.-მ მას თავად დაურეკა, რა დროსაც მასთან სახლში იმყოფებოდა თ. ხ.ც, ე. რ.-ის თხოვნით, მან ყურმილი გადასცა თ. ხ.-ს, ტელეფონი ჩართული იყო ხმამაღლა საუბრის რეჟიმზე. ამ საუბრისას, ე. რ.-მ თ. ხ.-ს უთხრა, რომ რადგან მ. კ. სამართლებრივად, სამოქალაქო წარმოების გზით ქონებას ვერ მიიღებდა, მისი გორში მდებარე ბინა გადაეფორმებინა შვილიშვილებისათვის, სანაცვლოდ, მ. კ. სასამართლოზე არ მისცემდა მ. ხ.-ის საწინააღმდეგო ჩვენებას. ამ საუბრის გამო, ადვოკატმა ს. ჯ.-მ თ. ხ.-ს ტელეფონი გამოართვა და ადვოკატ ე. რ.-ს უთხრა, რომ ნუ ანგრევდა ოჯახს და ნუ უყენებდა ულტიმატუმს ბრალდებულის დედას.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ე. რ. ცდილობს დაანგრიოს ოჯახი, ბრალდებულის სასარგებლო ჩვენების სანაცვლოდ საჩივრის ავტორს თხოვს გორში მდებარე საცხოვრებელი სახლის შვილიშვილებისთვის გადაფორმებას.

2.3 მოწმის ირინე აბრამიძის განმარტებით, რადგან ის არის მ. კ.-ის ნათესავი, ზრუნავს მის ბავშვებზე და ოჯახზე. მას თ. ხ.-ისაგან აქვს ინფორმაცია, რომ ე. რ.-მ მას უთხრა, არ გადაეხადათ აღკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის, გირაოს თანხით შეცვლის თანხა, მ. კ.-ისათვის გადაეფორმებინათ ქალაქ გორში მდებარე ბინა, სანაცვლოდ, მ. კ. არ მისცემდა მ. ხ.-ის საწინააღმდეგო ჩვენებას.

2.4 ირინე აბრამიძის განცხადებით, ს. ჯ.-მ არაერთხელ განუმარტა ადვოკატს, რომ მისი მხრიდან არასწორი იყო ბრალდებულის ციხიდან გამოყვანით მანიპულაცია და ამ გზით ოჯახის დანგრევა.

3. ადვოკატის პოზიცია

3.1 2018 წლის 28 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ე. რ.-მ განმარტა, რომ მ. კ.-ის მიერ ადვოკატისთვის მიმართვის საფუძველი გახდა ზეწოლა ბრალდებულის ადვოკატის ს. ჯ.-ის მხრიდან, რასთან დაკავშირებითაც გამოძიება უკვე დაწყებულია. კერძოდ, ს. ჯ. დაზარალებულს შეხვდა, რათა ეიძულებინა გაჰყოლოდა ადვოკატთან და ხელი მოეწერა განცხადებაზე, რომელიც თან ჰქონდა წამოღებული. ს. ჯ.-ის გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ მ. კ.-ის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია იცავდა.

3.2 ადვოკატის მითითებით, მან არაერთხელ გააფრთხილა ადვოკატი ს. ჯ. მისი გვერდის ავლით არ დაკავშირებოდა დაზარალებულს. მიუხედავად ამისა, ბრალდებულის ადვოკატი ყოველდღე დადიოდა მ. კ.-სთან და უკანონოდ, საჩუქრების დაპირების გზით თხოვდა ჩვენების შეცვლას, განცხადებაზე ხელის მოწერას. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დაზარალებული თავისი შვილებით საკუთარ სახლში შეიფარა. ადვოკატის განმარტებით, მან დაუყოვნებლივ მისწერა პროკურატურასა და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ს. ჯ.-ის ქმედების ეთიკურობის შემოწმების მოთხოვნით. ადვოკატი ე. რ. უთითებს, სასამართლო პროცესის მოახლოებასთან ერთად, ს. ჯ.-ის მხრიდან დაზარალებულის მიმართ საპროცესო განცხადებაზე ხელის მოწერის იძულების მიზნით ზეწოლა გაძლიერდა. რაზეც ე. რ.-მ მას განუმარტა, რომ მ. კ. ხელის მოწერას არ აპირებდა, ხოლო დაზარალებულის თანხმობის გარეშე საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეუძლებელი იქნებოდა. ადვოკატის განცხადებამ ს. ჯ. გააღიზიანა და ე. რ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

3.3 ადვოკატმა ე. რ.-მ დამატებით განმარტა, რომ თავად საჩივრის ავტორს არ იცნობს, არ აქვს ინფორმაცია მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და იგი მოქმედებდა ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებში, არ გასცილებია საკუთარ კომპეტენციას, რის გამოც საჩივარში მითითებული პრეტენზიები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა. ადვოკატმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტია და შესაბამისად, საქმესთან დაკავშირებით ფინანსური ინტერესი არ გააჩნია. ასევე, ის არ ერევა კლიენტის ოჯახურ ცხოვრებაში და არ აძლევს რჩევას ოჯახის დანგრევის ან შენარჩუნების თაობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი ე. რ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 თ. ხ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 06 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მისი რძლის მ. კ.-ის ადვოკატი, ე. რ., მ. კ.-ს ეხარება უკანონოდ დაეუფლოს მომჩივნის საკუთრებაში რიცხულ გორში მდებარე უძრავ ქონებას, საცხოვრებელ სახლს. გარდა ამისა ადვოკატი ე. რ. ცდილობს დაანგრიოს ოჯახი, ხელს უშლის და აბრკოლებს მეუღლეების შერიგებას.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. რ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით".

6.2.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-5 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად: „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს".

6.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კანონიერების პრინციპის დაცვა ევალება, რაც გულისხმობს მის ვალდებულებას საპროცესო მოქმედებების განხორციელების დროს იმოქმედოს კანონით წინასწარ დადგენილ ფარგლებში. ამას გარდა ადვოკატი ვალდებულია ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კლიენტისთვის სრულყოფილი იურიდიული დახმარების გაწევა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო კანონიერი საშუალებით უნდა იყოს ადვოკატის მთავარი ორიენტირი, რა დროსაც ნებისმიერი სხვა პირის ინტერესი მეორეხარისხოვანია და პრიორიტეტი ენიჭება კლიენტის ინტერესებს.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.“

6.5 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად კანონით დაშვებული ნებისმიერი საშუალების გამოყენება, არა თუ უფლება, არამედ მისი ერთ-ერთი ძირითადი ეთიკური ვალდებულებაა. რომლის დარღვევაც ხელყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაძლოა დისციპლინარული სახდელის დაკისრების საფუძველიც გახდეს.

6.6 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ე. რ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის რძლის - მ. კ.-ის წარმომადგენლობას ოჯახური ძალადობის საქმეზე, რომელშიც სასამართლომ მ. კ. დაზარალებულად ცნო, ხოლო საჩივრის ავტორის ვაჟს - მ. ხ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მის მარწმუნებელს ე. რ.-ის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს. ადვოკატის პროფესიის მთავარ ამოცანას მისი ბუნებიდან გამომდინარე წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვა, რომელიც ბუნებრივია წინააღმდეგობაში მოდის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებთან, არსებითად უპირისპირდება მას. შესაძლოა მოწინააღმდეე მხარეს არ მოსწონდეს ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის უფლების დასაცავად გამოყენებული მეთოდი და საშუალება, მაგრამ დაცვის დროს გამოსაყენებელი მეთოდი და სტრატეგია კლიენტისა და მისი ადვოკატის შეთანხმების საგანს წარმოადგენს და მოწინააღმდეგე მხარის დამოკიდებულება მასზე გავლენას ვერ მოახდენს, ცხადია იმ შემთხვევაში თუ იგი კანონშესაბამისია.

6.7 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - მ. კ.-ის ინტერესების დაცვა. ადვოკატი არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ ცდილობდა ოჯახის დანგრევას, რადგან ადვოკატმა განმარტა, საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს გარეთ, პირად ცხოვრებასთან დაკაშირებით კლიენტებს არ აძლევს რჩევას. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატმა ე. რ.-მ მისგან მოითხოვა შვილიშვილებისათვის გადაეფორმებინა გორში მდებარე ბინა, ადვოკატი განმარტავს, რომ ის თ. ხ.-ს არ იცნობს, არ იცის რა ქონებას ფლობს და ასეთ ფაქტს ადგილი აქ ჰქონია. ამ ფაქტის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2 მოწმე: შვილის, მ. ხ.-ის ადვოკატი ს. ჯ. და ს. ჯ.-ის მეუღლე ირინე აბრამიძე, რომლებმაც კოლეგიას განუმარტეს, რომ ადვოკატმა ე. რ.-მ თ. ხ.-ს შესთავაზა გორში მდებარე ბინის მისი კლიენტისათვის შვილებისათვის გადაფორმება, და განუმარტა, რომ ასეთ შეთხვევაში მისი კლიენტი თ. ხ.-ის ბრალდებული შვილის საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა. მოწმეთა პოზიციის გარდა, ამ ფაქტის დასადასტურებლად საჩივრის ავტორს კოლეგიისათვის სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. რადგან ადვოკატმა ეს ფაქტი უარყო, კოლეგიას არ გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ე. რ. თ. ხ.-ს აიძულებდა შვილიშვილებისათვის ბინის გადაფორმებას.

6.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. რ.-ის ქმედებაში არ დასტურდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლითა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები, შესაბამისად, ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №105/18 ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/